საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 12/12/07 2011 წლის 12 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ახალი ოფისისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე მდებარე: 3956 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.012), 521 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (შადრევანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.010) და ქ. თბილისში, საქანელას ქუჩის N23-ში მდებარე შენობის 90.95/416 ნაწილი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.003.024) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ახალ ოფისს".

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
შემოსვლის № 54833/01
"12" 12 2011 წ.
ფურცელი
1

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების, კერძოდ, ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე მდებარე 3956 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.012), 521 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობა N1-ის (შადრევანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.010), აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.013) კეთილმოწყობა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში;

გ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

3. შპს ,,ახალი ოფისი" ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს ორი თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ საკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

N 17/10/03 2012 წლის 17 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ახალი ოფისისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 დეკემბრის N12/12/07 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ახალი ოფისისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 დეკემბრის N12/12/07 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე მდებარე 3259 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.014), 521 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 2871/01
„17“ 10 2012 წ.
ფურცელი

განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (შადრევანი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.010), აგრეთვე ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.15.04.002.013) კეთილმოწყობა 2013 წლის 1 მაისამდე;

გ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.“;

ბ) განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შპს „ახალი ოფისი“ ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად წარადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ ორი თვით.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი